




საქართველოს
ოლიმპიური
კომიტეტი
განმარტოების
სამსახური



**ბურჯანაძემ
სპორტსმენები
დააჯილდოვა**
შხვედრა სპორტის
დეპარტამენტში 11

ჩაგულილი ბრანსფერები

ცეტივივილი და მენთეზაზვილი
კაიზერსლაუტერში
ველარ გადავლენ



რაფაელ ბენიტისი:
**კალაქე
ხელიდან
გავუზვიით**

ზამთრის ჩეგვიონები

ფრანკ რაიკბარდს ცუდი დღეები დაუდგა



ბარსა-ჩეალი 0:1




**ჩეკვიჩენკოს
არჩილი
გოგუას თავზე**
გოგბიტა სეტიურს ტოვებს 2



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ლეგიონერები

რაფაელ ბენიტასი: კალაძე ხელიდან გავუშვით

ბრიტანეთის ყველაზე პოპულარულ გაზეთ News of the World-თან ინტერვიუში „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტასმა აღიარა, რომ კლუბმა კახა კალაძის შეძენის შანსი ხელიდან გაუშვა: „ალარ მგჯერა, რომ ჩვენ შევძლებთ კალაძის შეძენას. ეს შანსი ჩვენ ხელიდან გაუშვით“. ინგლისური პრესა უკვე კალაძის შემცველზე საუბრობს. სავარაუდოდ, ეს „ფიორენტინას“ ჩეხი მცველი ტომას უფალაშვილია, რომელსაც სეზონის ბო-

ლოს იტალიურ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. ბრიტანული მედია უიფალუშვილის „ლივერპულში“ გადასვლის შანსებს 50/50-თან აფასებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი კონტრაქტით „მილანს“ 2011 წლამდე ეკუთვნის. „ლივერპული“ მის სანაცვლოდ იტალიურ კლუბს 6 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, თუმცა „მილანის“ და თავად ფეხბურთელის სურვილი იტალიაში დარჩენა იყო.

ნიკოლოზ ნაჭვარიძე



კახა კალაძე

ბრძოლა ქართველ ფეხბურთელთა მომზადება პრობლემებისა

დიდი ტრავმის

საქართველოს ნაკრები გუნდებისა
და ევროპის კლუბებისა

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო ინვეს და მალალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდასხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებთან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლება ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დანვრთებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება ინარჩუნებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას ანარჩუნებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.



ლევან ციკლაური ისევ კლუბის მოლოდინშია



ზურაბ მენტეშველი

ტრანსფერი ჩაიშალა

ციკლიშვილი და მენტეშველი
კაიზერსლაუტერში აღარ გადავლენ

კლაუს ტომპოლარის ნასვლამ „კაიზერსლაუტერის“ სპორტული მრეწველის პოსტიდან, გერმანულ კლუბში ლევან ციკლიშვილისა და ზურაბ მენტეშვილის ტრანსფერი ჩაშალა. არადა ვითარება გარკვეული იყო, მხარეები პირობებზე შეთანხმებულები იყვნენ. ქართვე-

ლი ფეხბურთელები გერმანიაში 3 იანვარს უნდა ჩასულიყვნენ და ახალ კლუბთან ერთად მეორე წრისთვის მზადება დაეწყოთ. თუმცა კლაუს ტომპოლარის ნასვლამ თანამდებობიდან ყველაფერი არია. ცნობა თავად მენტეშვილმა დაგვიდასტურა გუშინ: „სამწუხაროდ ეგერა.

„კაიზერსლაუტერში“ არც მე და არც ლევან ციკლიშვილი აღარ მივდივართ. სხვა გუნდის მოძებნა მოვიწყობთ.“
ამ თემაზე თავად ფეხბურთელებთან ინტერვიუს სხვალ შემოგთავაზებთ.

დავით ცაბაძე

რას ერჩის საბურნი გოგობა გოგუას?

ჩერვიჩანოს კუდაბა ქართველს პრობლემები შეუქმნა

საქართველოს ნაკრებისა და რამენსკოეს „სატურნის“ ნახევარმცველი გოგობა გოგუა კლუბს ტოვებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაციებით აჭრელდა რუსული მედია.

გაზეთი „ტვი დენ“ იუნყება: „მიმდინარე სეზონში „სატურნი“ იჯარით გადასულმა გოგობა გოგუამ პრემიერლიგასა და რუსეთის თასზე 17 შეხვედრა ჩაატარა. თუმცა ნახევარდაცვაში დიდმა კონკურენციამ და ლეგიონერებზე შემცირებულმა ლიმიტმა, რამენსკოელთა ხელმძღვანელობას ასეთი გადაწყვეტილებისკენ უბიძგა.“

- გოგობა გოგუასთან დაკავშირებული ვითარების კომენტარი მე არ მსურს. - განაცხადა გაზეთთან საუბარში „სატურნის“ გენერალურმა დირექტორმა ბორის ჟიგანოვმა.

„ტვი დენის“ ინფორმაციით, გოგუა შესაძლოა ძველი კლუბებიდან (ნალჩიკის „სპარტაკი“ და „ხიმკი“) ერთ-ერთს დაუბრუნდეს.

ინფორმაციას სხვა სააგენტოებიც ადასტურებენ. ერთ-ერთი მათგანი „სპარტაკსა“ და „ხიმკი“ ქართველი ლეგიონერის დაბრუნების შანსს 20-20 პროცენტით აფასებს.

ჩვენთვის ცნობილი ვახდა, რომ კვლავ თავი წამოყო ანდრეი ჩერვიჩენკოსა და „ხიმკის“ დაპირისპირებამ და ქართველი ნახევარმცველიც, ჩვენს სამწუხაროდ, ამ გაუგებრობას ეწირება, თორემ „სატურნის“ მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი ძალიანაც მოწადინებული იყო, რომ გოგუა დაეტოვებინა.

მერაბ მაგულაშვილი



გოგობა გოგუა

სიზანთიშვილი ნაფსკლელთა შორისაა

„ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა რობინ ლუტმა გერმანულ პრესასთან საუბარში სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში სერიოზულ საკადრო ცვლილებებს გეგმავს. კერძოდ, იგი რამდენიმე მოთამაშესთან განხილვას აპირებს.

ლუტს ფეხბურთელები არ დაუკონკრეტებია, თუმცა გერმანული მიმობილველები დარწმუნებულნი არიან, რომ „ფრაიბურგის“ დატოვება ძირითადად იმ ფეხბურთელებს მოუწევთ, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. მათ შორის კი როგორც იცით, ოთარ ხი-

ზანთიშვილიცაა. ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს პერიოდში. შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მცველმა კლუბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდშივე შეიცვალოს, თუ არადა ოთარი „ფრაიბურგიდან“ მომავალ ზაფხულს ალბათ, აუცილებლად წავა.

ინტერვიუ მამუკა კვარაცხელიასთან

ბოკაიოლერ(ებ)ის ხელში ქართულ ნაკრებებს მოგაპალი არ აქვთ!

რამდენიმე დღის წინათ ჩვენს გაზეთში დავით პეტრიაშვილთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ და ალბათ უპირანი იქნებოდა მამუკა კვარაცხელიას შეხვედრის დროს, რომელიც მეორე ქართველი პეტრიაშვილის შემდეგ, ავტო უკვე შვიდი წელია ჩემპიონთა ლიგის მატჩებს უფასო მედიაციის რანგში რომ კურიერებს და უფასო ეგიდით გამართულ სხვა შეჯიბრებსაც აკონტროლებს.

- მამუკა არჩევნების შემდეგ აღარ ჩანხარ...

- ვაიარჩევნების შემდეგ ძირითადად ევროპაში ვარ, წლებულს ჩემპიონთა ლიგაში დიდი დატვირთვა მქონდა, ერთბაშად ორი გუნდის სამინაო მატჩების მედია-ოფიცერი ვიყავი - კიევის „დინამოსი“ და სტამბოლის „ფენერბახესი“. ექვსჯერ მომინია უკრაინასა თუ თურქეთში ჩასვლამ - „სპორტინგის“, „მანჩესტერის“, „რომას“, „ინტერის“, „ეინდჰოვენის“ და ცსკას მატჩებზე. გარდა ამისა, ყოველ თვეში ორი კვირა მაინც ვიყავი ხოლმე გერმანიაში, სადაც ერთ მეტად საინტერესო პროექტზე ვმუშაობ და იმედი მაქვს, ქართული ფეხბურთისთვის ძალზე დიდ საქმეს ვაგეგვით.

- საფეხბურთო პროექტი გერმანიაში მიმზიდველად კი უღერს, მაგრამ იქნება უფრო კონკრეტულად გვითხარათ?

- ვერჯერობით არ ვახსოვანებ, იმედი მაქვს წარმატებული იქნება და პირველ რიგში თქვენ გაიგებთ, ერთს კი გეტყვი - მსგავსი რამ არაა თუ საქართველოში, გერმანიაშიც არ ვახსოვრებულა...

- ქართულ ფეხბურთში დასაქმებას არ აპირებ?

- ორი წელია უმუშევარი ვარ და ვერ არავინ დაინტერესებულა ჩემი სამსახურით. არათუ კლუბები, ვაზუბებიც კი. დიდი თვალები ჰქონია შიშს. ვერაინი ბედავს. ამიტომაც გადავწყვიტე გერმანიაში მეცადა ბედი.

- სანამ ჩამოხვდებით დანიაში ხომ მუშაობდით?

- მართლაც ბრძანებთ, მაგრამ დიდი პატივისცემის მიუხედავად ორი წელი არავინ შემინახავდა სამსახურს.

- ავტო პეტრიაშვილი „დინამოს“ ხელმძღვანელობდა, მაგრამ არ ითაკილა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ მუშაობა.

- სხვათაშორის, „საბურთალოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც ვარ, მეტიც, მორალურად, მატერიალურად და ფინანსურადაც შევიტანე წვლილი. სახელი - „საბურთალო“, სულაც ჩემი დარქმეულია, პირველი ემბლემის ავტორიც მე ვარ და ბეჭედიც მე დავამზადებინე. მსურდა ჩემს უბანში ყოფილიყო მოსახელე ფეხბურთის გუნდი და ყველაფერი ვაგეგვით ამისთვის, წილებიც შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. ერთი პერიოდი ჩემი სახლის მშენებლობაც შევაჩერე, რათა „საბურთალო“ ცემენტითა და ქვიშით მოემყარებინა. ჩემი ძმა, რომელიც მაშინ დირექტორი იყო, ლამებს ათენებდა მუშებთან ერთად. ხომ გამოგვივიდა!

- მამ რატომ არ ხართ კლუბში?

- სკოლას ჩემი მეგობრები ხელმძღვანელობენ და რითაც შემეძლება, ისედაც დავხმარები უანგაროდ. ამ ეტაპ-



მამუკა კვარაცხელია

ზე ჩემი სიმსახური საფეხბურთო სკოლას არ სჭირდება. აი, პეტრიაშვილი კი ზედგამოჭრილია სკოლისთვის.

- კიევი რეზო ჭოხონელიძესაც შეხვედობოდი...

- თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. რეზო რალაცნაირი არატიპური ქართველია, რომ არ იცოდა, ვინაა, ნამდვილად იტალიელი გეგონება. თამაზად შემიძლია ვთქვა, რომ მის გარეშე კიევის დინამოში არაფერი წყდება. ვხედავდი რამხელა საქმეს აკეთებდა და მინიმალურად ვანუხებდი, ვცდილობდი საჩემპიონთალიგო საკითხებით აღარ დამეღალა. იმედი მაქვს „დინამოს“ ძველ დიდებს დაუბრუნებს. ცუდია, რომ საფეხბურთო საქართველო ასეთ ხალხს არ იყენებს...

- იგივეს თქმა შეიძლება თქვენზეც და პეტრიაშვილზეც...

- ადრე არაერთხელ ვითხარით, ამ ფედერაციას პროფესიონალები არ სჭირდება-მეთქი. ამიტომაც ივლიანება ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად გამოყოფილი მილიონები უვიცი და უსაქმური გერმანელების ჯიბეებში...

- ტომპიოლერზე აზრი შოტლანდიელებთან მოგებაზე არ შევიცვალათ?

- შოტლანდიას მოუგო ქართულმა ჯიგარმა და არა მატყუარა ტომპიოლერმა. საქართველოს ნაკრები შემოდგომაზე ერთ თამაშს უმადლეს დონეზე ჯიგრით ყოველთვის თამაშობდა და თანაც, ნებისმიერი მწვრთნელის დროს. გასსოვთ რას ამბობდა ტომპიოლერი? შვიდი შეუცვლელი კაცი მყავს და თუკი შედეგი გინდათ, ყველანი ჯანმრთელი უნდა იყვნენო. ვინ ითამაშა ამ შვიდი კაციდან შოტლანდიასთან? მარტო ასათიანმა და ხიზანიშვილმა. დანარჩენი ხუთი - კალაძე, ცქიტიშვილი, დემეტრაძე, კობიაშვილი და არველიძე ამ მატ-

ჩემი არ იყვნენ. პირტიტველა ბიჭებმა ფეხი არ გაანდრევიან სკოლებს. ვანა პარადოქსი არაა? რალას არ გვიბედავს ეს მატყუარა, გოგუა იმიტომ ვაგადლო, ტრანსფერის უფლება რომ არ მისცა! ხომ გაიგეთ ხიზანიშვილი რატომ გააძევა ნაკრებიდან? ნემსაძის ჩამოღობორანტებაშიც წვლილი შეიტანა... ახლა უურნალისტებსაც ხომ მოგვადათ - ჩემი ძმა თამაშებს რომ აგებს - ეს წარმატებაა და არ დაგინახოთ გააკრიტიკო-

თო!!! მოთამაშეთა ტრანსფერებზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე ეროვნულ ნაკრებზე. ვერ მარტო ის რად ღირს, რომ „კაიხერსლაუტერნის“ შტაბშიც ჰყავდათ. რატომაც არა, ფეხებზე არ ჰქონდა ჩემი ფეხბურთის ფედერაცია? ამგვარ ქმედებას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს!

- მოდით, გულწრფელად გვითხარით, გჯერათ, რომ საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს?

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოთაგაზომ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

| | |
|----------|----------------------------------|
| CDN DSL | ყველაზე სტაბილური ინტერნეტი; |
| CDN 55 | ტელეფონის დადგმა; |
| CDN 8-66 | კავშირი ყველგან და ყოველთვის; |
| GIGACARD | ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები; |
| CDN | ქსელების მონტაჟი და მომსახურება; |

განმავლობაში
24 საათის
• უწყვეტი მომსახურება
• გარანტირებული ხარისხი
• ტექნიკური მხარდაჭერა
• გადახდა ხაზიდან გავსვლად

სატელეფონო საუბრების წამოზრდივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დაარსდა, მუშაობს, ჩაერთო!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კოპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ლეგიონერები

კოპიაშვილი ხიზანაშვილის წინააღმდეგ?

ლევან კოპიაშვილი სერიოზული ტრავმის შემდეგ, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. "შალკეს" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ სეზონის მეორე ნახევრისთვის იგი საერთო ჯგუფთან ერთად ემზადება და ნორმალურ ფიზიკურ კონდიციებშია.

აქვე გეტყვით, რომ 6 იანვარს გერმანული კლუბი თურქულ შეიქრებაზე გაემგზავრება, საკურორტო ქალაქ ბელექში და იქ 13 იანვრამდე დაჰყოფს. საინტერესოა, რომ ბელექში "ვიქტორიას" თასი გაიმართება, ამ ტურნირის ეგიდით "შალკე" "ფრაიბურგს" შეხვდება.



იაშვილის პროგრესის მოლოდინი

სანდრო იაშვილს "თუნში" ადაპტაცია საკმაოდ გაუჭირდა. შვეიცარიული კლუბის შემადგენლობაში საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ამის მიუხედავად, "თუნის" სამწვრთნელო შტაბს ახალგაზრდა ქართველი ფორვარდისა კვლავინდებურად ეიმედება.

გუნდის მწვრთნელმა რენე ვან ეკმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ სეზონის დარჩენილ ნაწილს "თუნი" უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებს. "პირველ წრეში სტაბილურობა გვაკლდა, იმედია, უახლოეს პერიოდში ამ ხარვეზს აღმოვფხვრით და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას შევძლებთ. ჩვენს ხელთ არსებულ კონტინგენტს გაცილებით მეტი შეუძლია", - ამბობს ვან ეკი. მან იქვე რამდენიმე ფეხბურთელი დაახასიათა და დასძინა, სანდრომ უკვე აულო ალაო აქაურ ფეხბურთს და მეორე წრეში მისგან გაცილებით მეტს ველით.

თარგამაძემ ბაიარნთან ითამაშა

"ფრაიბურგის" ახალგაზრდული გუნდის წევრ დავით თარგამაძეს ტრავმის გამო, რამდენიმე მატჩი გაუცდა, სამაგიეროდ, მისი დაბრუნება საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ახალგაზრდული ბუნდესლიგის გასულ ტურში "ფრაიბურგი" მიუნხენის "ბაიერნს" ესტუმრა და 2:2 დაუზავდა.

თარგამაძეს საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა არ მიუღია, სამაგიეროდ, მოედანზე 90 წუთი დაჰყო და რიგიანად ითამაშა. თავიდან "ფრაიბურგი" 2:0 დაწინაურდა, მიუნხენელებმა ამის შემდეგლა იძალტეს.

ივანაუსკასი კარლ ცაისიდან დაითხოვეს

იენური კლუბის ხელმძღვანელობამ ვალდას ივანაუსკასის მოღვაწეობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და ლიტველი სპეციალისტი თანამდებობიდან დაითხოვეს. ცნობისათვის, ივანაუსკასი "კარლ ცაისში" სეზონის მსვლელობისას მივიდა ფრანკ ნოიბარტის ნაცვლად ვერ ვიტყვით, რომ გუნდმა მისი ხელმძღვანელობით პროგრესს მიაღწია, ერთი ეგ იყო, გიორგი ონიანსა და ილია კანდელაკს იგი ნოიბარტზე უფრო ხშირად ენდობოდა. 18-გუნდიანი მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე "კარლ ცაისმა" ბოლოსწინა საფეხურზე ჩაამთავრა, 13 ქულა აქვს და სამშვიდობოსთან 5 ქულა აშორებს.

იენელებმა ივანაუსკასის შემცვლელი უკვე მოძებნეს. გუნდს 38 წლის ჰენრიხ ბიურგერი განვრთნის, მასთან კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმეს. იმედია, მისი ხელმძღვანელობით "კარლ ცაისი" უფრო წარმატებულად ათამაშდება და გუნდის ქართველ ლეგიონერებს კიდევ უფრო მეტად მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. შეგახსენებთ, ონიანისა და კანდელაკის გარდა, "კარლ ცაისში" გიორგი სეთურიძე და რევაზ ბარაბაძე ირიცხებიან. სეთურიძეს მძიმე ტრავმის გამო მთელი პირველი წრე გაუცდა და ვარჯიშს მალე განაახლებს, ბარაბაძე კი ჯერჯერობით, მეორე გუნდის შემადგენლობაში თამაშობს.



ლევან ჰანაშვილი

გიორგი ონიანს მწვრთნელი შეეცვალა



კალაძე (4) იბრაჰიმოვიჩის წინააღმდეგ

თვალსა და ხელსაშუა შემოგვადნა ქართული ლეგიონი, ეს ბუნებრივია - სეზონი თითქმის ყველგან შესვენებაზე გავიდა ან დასრულდა. ამ უქმეებზე ვეროპაში ერთი ქართული გოლი მაინც გავიდა - ვეტერანმა ლევან ქეზაძემ თავი კვიპროსიდან შეგვახსენა.

წააგო, მამრამ პარგად ითამაშა

იტალიის სერია A საახალწლოდ მაღონინათი დაგვემშვიდობა. კახა კალაძის "მილანი" 1:2 დამარცხდა "ინტერთან", არადა დერბოში ანგარიში "მილანმა" გახსნა. ამ მრაცხის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი კლუბი მისთვის შეუფერებელ მე-12 ადგილზე, თუმცა მეტოქეებზე სამი მატჩით ნაკლები აქვს გამართული. ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი ითამაშა. პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა "ინტერის" ფეხბურთელები კალაძის მიერ ხელით თამაშის გამო პენალტს ითხოვდნენ, თუმცა მსაჯმა მიიჩნია, რომ ქართველს ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელში.

ინგლისურენოვან ინტერნეტ-საიტ "გოლის" შესაფასებელი კალაძემ დერბოში 7 ქულა დაიმსახურა. „კა-

ლაძემ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელ ალესანდრო ნესტასთან ერთად დაცვის ცენტრში ძლიერად ითამაშა. მათ ზონაში ზღაპრად იბრაჰიმოვიჩმა და ხულიო კრუზმა ვერ გაიხარეს". ასევე შეიძინათ შეაფასეს პირლოს თამაში, მეტი ქულა კი "მილანში" მხოლოდ ნესტამ დაიმსახურა - 9. იტალიურმა "დატასპორტმა" კალაძისთვის მხოლოდ 6 ქულა გაიმეტა.

ჩელსიტან დაბრუნებული

ინგლისში ზურაბ ხიზანიშვილი "ჩელსიტან" მატჩში დაბრუნდა სასტარტო შემადგენლობაში უელსელმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა, "ბლექბერნი" შინ 0:1 დამარცხდა, თუმცა ქართველს ურიგოდ არ უთამაშია. ეს მისი მეორე მატჩია ნლევეანდელ პრემიერლიგაში, სასტარტოში კი - პირველი. პირველ ტაიმში ზურას გატანაც შეეძლო ბენტლის ჩანოდევის შემდეგ, მაგრამ მისი თავური ხარისხს ოდნავ გადაცდა. "ბლექბერნი" 18 თამაშიდან 26 ქულით პრემიერლიგაში მეთათა.

წლეულს ვერ ითამაშა

ესპანეთში საფეხბურთო წელწინადი ისე დასრულდა, შოთა არველაძემ "ლევეანტს" ფორმით

წაგებული გარონი, პირველად სასტარტოში და არშემდგარი დაბრუნები

დებიუტი ვერ მოასწრო. შოთას მისის მერე ტრავმების გამო აღარ უთამაშია. მისი "ლევეანტე" კი პრიმერა დივიზიონის უიმედო აუტსაიდერია, ამჯერად ვალენსიელებმა შინ "დეპორტივოსთან" 0:1 წააგეს. ტურის წინ "მარკა" იტყობინებოდა, რომ არველაძე ჯანმრთელია და თამაში შეუძლიაო. სამწუხაროდ, ქართველს დებიუტი 2008 წლისთვის გადაედო.

ქეცაიას ჰანდიკაპი

ზამთრისთვის შესვენა კვიპროსის ჩემპიონატ-მაც, სადაც 34 ქულით ერთპიროვნული ლიდერი ქართველი თემურ ქეცაიას "ანორთოსისია".

ქეცაიას გუნდმა გუშინ ფრუსოსის გოლის წყალობით ენა დაამარცხა - 1:0. მეორეადგილოსან "აპოლონს" ქეცაიას გუნდი 6 ქულით უსწრებს. "ეთნიკოსმა" ალკი-ს უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. ამ მატჩში გოლი გაიტანა მასპინძელთა შემტევმა ლევან ქეზაძემ. ეს მატჩის მერვე წუთზე მოხდა. ქეზაძემ 90 წუთი ითამაშა. ქეცაიას "ეთნიკოსი" 13 ქულით მე-11 ადგილზეა 14-გუნდიან ჩემპიონატში. ლევან მალრადის "აპოლონს" 24 ქულა აქვს და მესამეა. შაბათს ლიმასოლში "აპოლონი" 0:0 დაუზავდა აელ-ს. მალრადე 73-ე წუთზე ჩაერთო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მატჩში.

ნიკოლოზ ნაზარაძე



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) ჩელსიტან



ჩაბები



მამუკა გორგოძე (მარცხნივ) მონაწილე-ალბის მატჩში

ლეგიონერები

მონაწილე მოულოდნელია

საზრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში, ხუთი ტურის შემდეგ, ლიდერთა სამეულში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. მიმდინარე გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელია კი ამ ორიდან ერთის, მამუკა გორგოძის „მონაწილე“ წარმატებული ასპარეზობაა. მონაწილეებმა ხუთიდან მხოლოდ ერთ შეხვედრაში იწვინეს მარცხი.

„მონაწილე“ საკუთარ მოედანზე „ალბის“ უმასპინძლა და 19:14 დაამარცხა. მამუკა გორგოძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 74-ე წუთზე შეცვალეს. ანალოგიური მარცხი აქვს, ოღონდ ერთი პრემიალური ქულით მეტი მიითვალა დავით ზირაქიშვილისა და გოდერძი შველიძის „კლერმონს“. „ვულკანებმა“ შინ გათამაშების ლიდერი „ტულუზი“ დაამარცხეს 21:17. ზირაქიშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო, შველიძე განაცხადში არ ყოფილა.

ლიდერთა ჯგუფიდან ახლოსაა ავთანდილ კოპალიანის „ბაიონი“, რომელმაც „პერპინიანს“ სძლია საკუთარ მოედანზე 35:8. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

მეტად საჭირო გამარჯვებას მიაღწია საკუთარ მოედანზე აქსენტი გიორგაძის „კასტრმა“. აქსენტის გუნდმა „ბურგუენი“ 32:17 დაამარცხა, გიორგაძე კი შეხვედრაში 70-ე წუთიდან ჩაერთო.

სატურნირო ცხრილის ბოლო სამი საფეხური უჭირავს, ქართველ მორაგბეთა სამ გუნდს: „ბრივი“, „ოზს“ და „დაქსს“. ირაკლი გიორგაძის „დაქსმა“ შინ მიიღო დავით ხინჩაგვიშვილის „ბრივი“ და 19:27 დაამარცხა. ორივე ქართველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. შინ დაამარცხა ბასკურ „ბიარიცთან“ მამუკა მაგრაქველიძის „ოში“ 11:17. მაგრაქველიძის არ უთამაშია, ვინაიდან 30 დეკემბრამდე დისკვალიფიცირებულია.

საზრანგეთი. I დივიზიონი. V ტური. ოში-ბიარიცი 11:17, კლერმონი-ტულუზი 21:17, ბაიონი-პერპინიანი 35:8, კასტრი-ბურგუენი 32:17, მონაწილე-ალბი 19:14, დაქსი-ბრივი 19:27, მონტობანი-სტად ფრანსე 24:16.

1. ტულუზი - 19 ქულა, 2. კლერმონი - 17, 3. მონაწილე - 16, 4. მონტობანი - 15, 5. ბაიონი - 15, 6. ბიარიცი - 14, 7. სტად ფრანსე - 13, 8. ბურგუენი - 11, 9. კასტრი - 9, 10. პერპინიანი - 8, 11. ალბი - 8, 12. ბრივი - 7, 13. ოში - 6, 14. დაქსი - 6.

ბესიკ ჯანაშვილი

სპორტის დეპარტამენტი

ნინო ბურჯანაძე სპორტსმენებს გაორგანოვებული პრემიებით შეხვდა

გუშინ, 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ამ დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურთან და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილთან ერთად სპორტული საქმეების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე 2007 წლის ყველაზე წარმატებულმა სპორტსმენებმა, ფედერაციების, სელმძღვანელებმა და მწვრთნელებმა მოიყარეს თავი. სპორტული საზოგადოების წარმომადგენლების შეკრება, დღეისათვის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულების დამტკიცებას მიეძღვნა, რომლის მიხედვით საქართველოდან 2007 წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს, ასევე პრიზიორებსა და მათ მწვრთნელებს ფულადი სახელმწიფო პრემიები გაუორმაგდა.

მიხეილ სააკაშვილის ამ განკარგულებას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი 17 დეკემბერს მოაწერა და სპორტსმენებთან შეხვედრამაც არ დაახანა.


პრემიები ამჯერად მხოლოდ ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებმა მიიღეს, თუმცა ამავე შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ 2008 წლიდან ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობის სპორტსმენები აღარ დაიყოფიან და სახელმწიფო პრემიებს ყველა იმ სახეობების სპორტსმენები მიიღებენ, რომლებიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებას მიაღწევენ.

წლებულს კი გაორმაგებული პრემიები, ძირითადად, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს წარმომადგენლებს და მათ მწვრთნელებს ერგოთ. ასევე დაჯილდოვდნენ ტაეკვონდოს, ჩოგბურთის, კრივის, ძალსისხლის სახეობების ის სპორტსმენები და მწვრთნელები, რომლებმაც 2007 წელს წარმატებას მიაღწიეს. პრემია მიიღო საქართველოს ბენისბოლისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც - 2007 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის.

პრემიების რაოდენობას რაც შეეხება, მსოფლიოს ჩემპიონებს 30 ათასი დოლარი ხვდათ წილად, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებულებს 15 ათასი. შესაბამისი ფულადი ჯილდოები მიიღეს ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენებმა, მათმა მწვრთნელებმა და სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლებმა. მთლიანობაში სპორტში მოღვაწე 70 ადამიანი დაჯილდოვდა, პრემიების ჯამმა კი 800 000 დოლარს გადააჭარბა.

სიმბოლური იყო, რომ შეხვედრაზე მონაწილე 100-მდე სპორტსმენს, მწვრთნელებს, ფედერაციების წარმომადგენლებსა და სტუმრებს სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოცემული ყოველწლიური ჟურნალი - „სპორტი და ახალგაზრდობა 2007“ დაურიგდათ. 2007 წლის ყველა მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის შემაჯამებელი ჟურნალი სულ რამდენიმე დღეა, რაც დაიბეჭდა და სტამბიდან მისი მონოდებაც სპორტის დეპარტამენტში ასეთ მნიშვნელოვან ვიზიტს დაემთხვა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი სპორტის დეპარტამენტის 14 საათზე ესტუმრა. შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ სახელმწიფოს განვითარებისათვის სპორტის მნიშვნელობაზე და მთავრობის მხრიდან სპორტის სრულ მხარდაჭერაზეც ილაპარაკა. პირადი სიმბათეები კი განსაკუთრებულ




ნინო ბურჯანაძე

ლად მორაგბეთა მიმართ გამოთქვა, რომელთა თამაშით მსოფლიოს ჩემპიონატზე, როგორც თავად განაცხადა, აღფრთოვანებული დარჩა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ასევე ხაზი გაუსვა სპორტის მნიშვნელობას წარმომადგენლის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და სპორტსმენებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და წარმომადგენლის ბრძოლის კამპანიისაკენ მოუწოდა.

ბურჯანაძემ დეპარტამენტის შენობაში განთავსებული სპორტის მუზეუმშიც დაათვალიერა. სპორტულ საზოგადოებასთან გამომშვიდობებისას კი ქართველ სპორტსმენებს 2008 წელს, რომლის კულმინაცია ზაფხულის ოლიმპიური თამაშები იქნება, ახალი გამარჯვებები უსურვა.

გიორგი ჭანიშვილი
სპორტის დეპარტამენტის პრეს-სპეციალისტი



სპორტის მუზეუმში



კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

დინამოსა და ვითას აპოკრიფალური ჯიბეები



დინამო-მაკაბი. ბურთით გიორგი შერმადინი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

| 23 დეკემბერი, სპორტის სასახლე | 81:77 | | | |
|--|--|----------|----------|----|
| თსუ-ვითა | 17:23, 17:18, 14:16, 33:20 | | | |
| თსუ: არანიძე (7ქ), ფანჩულიძე (2ქ), ჩიტაშვილი (16ქ, 3ჩ), მათიაშვილი (16ქ, 12ჩ, 3ჩ, 2დ), კობრეიძე (3ქ), ყველაშვილი (2ქ, 5ჩ), ლოსაბერიძე, კვიციანი (11ქ), ხეცურაიანი (24ქ, 5ჩ, 4ჩ, 2დ) | ვითა: ნ. ნოზაძე (5ქ), ბეგანიშვილი (20ქ, 9ჩ), მ. ბერიშვილი (16ქ, 3ჩ, 3დ), მარჯაშვილი (8ქ), მარკოშვილი (11ქ, 6ჩ), ბერძენიშვილი (17ქ, 5ჩ), ნივნივაძე, გვირგვინიშვილი (24ქ, 17ჩ, 4ჩ, 3დ), პირველაშვილი, კორკოტაძე (5ქ), კოლაშვილი (5ქ), ს. შერმადინი (8ქ, 5ჩ), ვაშაკიძე (22ქ, 12ჩ) | | | |
| დინამო-მაკაბი | 80:81 | | | |
| 18:10, 22:28, 26:15, 14:28 | | | | |
| დინამო: გულისაბედაშვილი (17ქ, 4ჩ, 3ჩ), ნანიტაშვილი (9ქ), ჯღენტო (14ქ, 5ჩ), ლაფანაშვილი (8ქ, 5ჩ, 3ჩ), სიგუა (6ქ), ნერეთელი, ნახუცრიშვილი, მისურაძე (6ქ), ათანელიშვილი (10ქ, 6ჩ), ახალკაცი (14ქ, 7ჩ, 2დ) | მაკაბი: დ. ბერიშვილი (17ქ, 4ჩ, 3ჩ), გ. შერმადინი (24ქ, 17ჩ, 4ჩ, 3დ), პირველაშვილი, კორკოტაძე (5ქ), კოლაშვილი (5ქ), ს. შერმადინი (8ქ, 5ჩ), ვაშაკიძე (22ქ, 12ჩ) | | | |
| მსაჯეები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე | | | | |
| თ | მ | ჩ | დ | |
| 1. თბილისი | 9 | 9 | 0 | 18 |
| 2. თსუ | 9 | 5 | 4 | 14 |
| 3. ვითა | 9 | 4 | 5 | 13 |
| 4. აპიანთაძე | 9 | 3 | 6 | 12 |
| 5. დინამო | 9 | 3 | 6 | 12 |
| 6. მაკაბი | 9 | 3 | 6 | 12 |

ვერ ვიტყვით, რომ ჯამლექ ხუბაშვილის გუნდი გამარჯვებას არ იმსახურებდა. „მაკაბიმ“ „დინამოს“ ფარქვეშ აშკარად აჯობა - 49 მოხსნა, 35-ის წინააღმდეგ. უკანა ხაზში ზაზა ცაგარეიშვილის გუნდი უკეთესი იყო, გუნდურადაც თამაშობდა, შეცდომაც მეტოქეზე ნაკლები ჰქონდა (12 21-ის წინააღმდეგ), მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა - გივი ვაშაკიძის შესაჩერებელი ნაშალი არ აღმოჩნდა.

„დღევანდელი წარმატებით გახარებული ვარ. ვაშაკიძემ საკვანძო მომენტში იყოჩაღა და ორმაგი დუბლიც გაიფორმა 22 ქულა, 12 მოხსნა. გიორგი შერმადინმა თავისი მინიმუმი შეასრულა - 24 ქულა და 17 მოხსნა ჩაიწერა.“ - განაცხადა ნამატჩევს ჯამლექ ხუბაშვილმა.

რინარდ მათიაშვილის ნათქვამიდან შეიძლება მიხვდით, რომ გუშინ მისმა თსუ-მაც გამარჯვდა. როცა მას ვკითხე, რის ხარჯზე მოახერხებთ მეორეადგილოსანი „ვითას“ დამარცხებამეთქი, მოკლედ მომიჭრა - უხელფასობის ხარჯზე. ტურის ფრაზაც ეს გახლავთ. მათიაშვილმა იქვე განმარტა, რომ თსუ-ს კალათბურთელები ჯერჯერობით უხელფასოდ თამაშობენ, რაც გუნდურ სულისკვეთებაზე დადებითად მოქმედებს. ამასთან, ისინი სატურნირო ცხრილში წინსვლით უფროსობის ყურადღების მიპყრობას ცდილობენ.

თსუ-„ვითას“ მატჩი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა „დინამო“-„მაკაბის“ დაპირისპირებას. 35 წუთის განმავლობაში ვითელები დომინირებდნენ და ბოლო 5 წუთს მ-ქულიანი ფორით შეხედნენ (69:61). თამაშის ხასიათიდან გამომდინარე ძნელი იყო იმის განსაზღვრა, რომ თსუ უცებ ჭიანჭველავაჭამიად იქცეოდა, ხოლო „ვითა“ - ჭიანჭველად.

თსუ-ს მწვრთნელს ნუგზარ ჭეიშვილს ერთი საუბრისკენ იარაღი აქვს - კრიტიკულ მომენტში შეგირდებს მოედნის ყველა ნერტილში პრესინგს ათამაშებს და ან სიტუაციას ასწორებს, ან პირიქით - მეტოქეს ანგარიშის გაზრდის საშუალება ეძლევა. „ვითასთან“ მატჩის ბოლო მეოთხედში ნაწილობრივ თსუ-ს პრესინგმა, ნაწილობრივ სტუდენტთა საბრძოლო ტონუსის ამაღლებამ, ნაწილობრივ ვითელთა მოდუნებამ თსუ-ს 14:0 სპურტი განაპირობა, რომლის ბოლოს სტუდენტები 72:69 დანინაურდნენ. დარჩენილ სამ წუთში სიტუაცია კიდევ უფრო დიდიხაზა, მაგრამ სტუდენტები ისეთ ტონუსში იყვნენ, რომ მათი შეჩერება „ვითამ“ ვეღარ შეძლო.


გაჭრილი ვაშლი შემთხვევით არ გვიხსენებია - თსუ-ს „მაკაბის“ დარად გამარჯვება 81-მა ქულამ მოუტანა (81:77).

მოუხედავად იმისა, რომ სამი პერიოდის განმავლობაში ვითელები დომინირებდნენ, ბოლო წუთებში ათამაშებულმა სტუდენტებმა თითქმის ყველა სტატისტიკურ კომპონენტში აჯობეს. თსუ-მ ბურთი 37-ჯერ მოხსნა, „ვითამ“ - 33-ჯერ. ორქულიანების პროცენტული მაჩვენებელი: თსუ - 60 პროცენტი, „ვითა“ - 41.9. ჩაჭრები: თსუ - 14, „ვითა“ - 3. შეცდომები: თსუ - 11, „ვითა“ - 23.

საპრემიის სახალღეში მატჩების დასრულებისთანავე დეტორმა გამოაცხადა: ტურის საუკეთესო კალათბურთელი „ენერჯის“ გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე გახდა. მან 36 ქულა დააგროვა. 36 ქულა მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მაჩვენებელია. ესეც ტურის მოვლენა.

გუშინ სუპერლიგის ორგანიზატორებმა ქომაგებს კალათბურთის ბურთები და სუპერლიგის სიმბოლოებიანი კაშნები დაუფიცეს.

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულია

ქართველი NBA-ში

აბლანტაში აინფორმაცია

ზაზა ფაჩულიას „აბლანტა პოქსი“ ზედიზედ მეოთხე მატჩია მოედანს „თავანული“ ტოვებს. თუკი აქამდე ჯორჯიელები დასუსტებულ „მაიამისა“ და „შარლოტს“ იბრძვებდნენ, ამჯერად დეივიზონის ერთ-ერთი ლიდერი „ვაშინგტონ ვიზარდსი“ მისავე მოედანზე დაამარცხეს - 97:92. ეს მოგება თამამად გვათქმევინებს, რომ „პოქსი“ ამ სეზონში ფლეი ოფში მოხვედრას იმსახურებს. თუკი სიტუაცია კატასტროფულად არ გაუარესდა, ზაზა ფლეი ოფში აუცილებლად ითამაშებს. სადღესოდ „აბლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე პოზიციაზეა („ბოსტონის“, „დეტროიტისა“ და „ორლანდოს“ შემდეგ), მომდევნო ეტაპზე კი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე 8 გუნდი გადის.

„აბლანტასგან“ განსხვავებით ვერ ფრინავს ზაზა ფაჩულია, რომელიც ტრავმების შემდეგ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს და ჯერჯერობით მოკრძალებული წვლილი შეაქვს გუნდის წარმატებაში.

მკითხველს შეეახსენებთ, რომ ზაზამ კარიერის რეკორდი შარშან სწორედ „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ დაამყარა - 27 ქულა.

ვაშინგტონი-აბლანტა 92:97

21:25, 26:20, 20:23, 29:25

ვაშინგტონი: სტივენსონი (18ქ), მეისონი (3ქ), ჯემისონი (30ქ, 9ჩ), ბატლერი (13ქ), პეიუდი (6ქ), იანგი (14ქ), სონგაილა (4ქ), მაკგუაიერი (2ქ), ბლანტი (2ქ), უილკინსი

აბლანტა: ე. ჯონსონი (5ქ, 8ჩ), ჯ. ჯონსონი (32ქ, 5ჩ, 8ჩ), ჯ. სმიტი (16ქ, 14ჩ), მ. უილიამსი (22ქ), პორფორდი (13ქ, 7ჩ), ზაზა ფაჩულია (17 წუთი, 3 ქულა, 6 მოხსნა, 1 დაფარება, 4 შეცდომა, 2 ფოლი), ჩილდრესი (4ქ, 11ჩ), ლოუ, უესტი (2ქ)

I პერიოდი

4:16 ფაჩულიამ პირველი შეცდომა
2:47 მოხსნა: 1 (შტ:1, დაც:0)
2:25 მოხსნა: 2 (შტ:2, დაც:0)
2:19 საპირიმპოვი: 2 (1, 1დ, [25:13])
1:15 შეცდომა: 1
1:11 დაფარება: 1 (გლანტა დაუფარა)
0:17 ორქულიანი ტყორცვა არაზუსტი

II პერიოდი

7:56 მოხსნა: 3 (შტ:2, დაც:1)
7:37 შეცდომა: 2
7:09 შეცდომა: 3
7:01 ფაჩულია პირველი შეცდომა

III პერიოდი

2:00 ფაჩულიამ პირველი შეცდომა
0:49 მოხსნა: 4 (შტ:3, დაც:1)
0:38 საპირიმპოვი: 2 (2, 3დ, [68:65])
0:23 ფოლი: 1

IV პერიოდი

11:16 ფოლი: 2
10:46 ორქულიანი ტყორცვა არაზუსტი
10:29 მოხსნა: 5 (შტ:3, დაც:2)
9:58 მოხსნა: 6 (შტ:4, დაც:2)
6:43 შეცდომა: 4
6:18 ფაჩულია პირველი შეცდომა
აბლანტა: 14 მოგება, 12 ნაგება. მე-2 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში

ვახტანგ ტყეშელაშვილი


NBA რეგულარული ჩემპიონატი

Table with NBA game results including teams like Boston Celtics, Philadelphia 76ers, and scores.

ფორმულა 1

შუბის 35 მილიონი

მსოფლიოს შიდა მხარის ჩემპიონი მისა-ელ შუბსერი მომავალი შედეგის წლის გან-მავლობაში 35 მილიონ ევროს გამოიხმუ-ვებს.



35-მილიონიანი კომპიზიციონი

ამასობაში, არ ცხრება ვენბათაღლევა იმ ისტორიის გარშემო, როცა შუბსერმა ტაქსის მძღოლს ადგილი გაუცვალა და აეროპორტში თავად წაიყვანა ოჯახი.

ახალი კვალიფიკაცია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ის 2008 წლის ჩემპიონატისთვის კიდევ ერთხელ გადაწყვიტა კვალიფიკაციის ფორმატის შეცვლა.

მომავალ წელს კვალიფიკაცია ასევე სამ სერიად გაიშალა: პირველი 20 წუთს გაგრძელდება, მეორე - 15 წუთს და მესამე - 10 წუთს.

ახალი ამბები

ბრიჯსკონი ფორმულაში ჩება

კომპანია „ბრიჯსკონი“ კვლავ დარჩება ფორმულა 1-სთვის საბურავების ექსკლუზიური მიმწოდებლად.

ახალ ფარკის 6 იანვარს ვიხილავთ

ბასსული სეზონის ტრიუმფატორი „ფერარი“ უჩვეულოდ ადრე მოაწყობს თავისი ახალი ბოლიდის პრეზენტაციას.

იონდამ 29 იანვარი აირჩია

თავისი ახალი ბოლიდის პრეზენტაციის თარიღი გამოაცხადა იაპონურმა საჯინიბო „მონდამ“.

მაკლარენს ახალი სპონსორი უყავს

ბერმინის უმსხვილესი ტელესაკომუნიკაციო კომპანია Deutsche Telekom, საერაულოდ ფორმულა 1-ის გუნდის - „BMW-ზაუბერის“ სპონსორი გახდება.

სპორტი

გამოდინდა 2002-06 წლებში

ლელოს მთავარი რედაქტორები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

გამოდინდა 2002-06 წლებში

პარტნიორი: საპარტნიოროს ოლიგარქი ფონდი

ახალი ამბები

გამოდინდა 2002-06 წლებში

ტელეფონი: 46 30 98 46 30 56 46 32 62 899 55 48 97 (მრ. რედაქტორი) 53 39 11

კალათბურთი

მარბერი შეხვედრა იოსოვა

„ნიუ იორკ ნიუსს“ ძირითადი გამომცემელი სტეფან მარბერი კიდევ რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს - იტყობინება NY Daily News.

ვილუკის პეისონი გამოაკლდა

„ვილუკი ბაქს“ ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება ფორვარდი დეს-მონდ მესონი. 30 წლის კალათბურთელმა ცერა თითის ტრავმა „საქრამენტო კინგზთან“ მატჩის დროს მიიღო და საბოლოოდ საოპერაციო შეიქმნა.

ლაპრინოვიჩი 20 დღე დაისვენებს

„სასლონი 20“ დღის განმავლობაში იტალიის „მონტეპასკი“ თავისი ერთ-ერთი ლიდერის, სერჯო ლაპრინოვიჩის გარეშე ითამაშებს.

ვალსაფორა

გალოკი ვალსაფორას ეთხოვება

ცნობილმა ესპანელმა ველომბოლიზმის ხოსე ბელოკიმ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. თავის დროზე, 34 წლის სპორტსმენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მან სამჯერ შეძლო მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონ „ტურ დე ფრანსზე“ საპრიზო მასშტაბში მოხვედრა.

კალათბურთი

მარბერი შეხვედრა იოსოვა

„ნიუ იორკ ნიუსს“ ძირითადი გამომცემელი სტეფან მარბერი კიდევ რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს - იტყობინება NY Daily News.

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)

მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი თანამშრომლები: მისაილ კაპაბაძე (1949-52, 64-76) ირაკლი უგუშაძე (1952-53) ანდრე ასპინძალი (1953-64) ანდრე ასპინძალი (1976-83) არჩილ გომეზიანი (1984-85) თანამშრომლები (1985-დან)